საქართველოს
მთავრობის ადმინისტრაცია

ADMINISTRATION
OF THE GOVERNMENT OF GEORGIA

GOV 4 19 00046503

20/11/2019

საქართველოს პარლამენტს

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 117-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაცნობებთ, რომ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" და „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტების დაჩქარებული წესით განხილვა მიზანშეწონილია მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე. კერძოდ, საქართველოს პარლამენტის მიერ 2019 წლის ივნისში მიღებული იქნა „მიწის მიზნობრივი დანიშნულების განსაზღვრისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მდგრადი მართვის შესახებ" საქართველოს კანონი, რომლის თანახმად, 2020 წლის პირველი იანვრიდან საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს (შემდგომ - სამინისტრო) მმართველობის სფეროში იქმნება საჯარო სამართლის იურიდიული პირი – მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტო. წარმოდგენილი ინიციატივა კი ითვალისწინებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს რეორგანიზებას საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნულ სააგენტოდ. შესაბამისად, „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტში სსიპ - სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო გათვალისწინებული არ არის და ასახულია მხოლოდ სსიპ - მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტო. აღნიშნულიდან გამომდინარე, თუ 2019 წლის 31 დეკემბრამდე ვერ მოესწრო წარმოდგენილი საკანონმდებლო პაკეტის მიღება, 2020 წლიდან სამინისტროს სისტემაში იქნება როგორც სსიპ - სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო (რომლის დაფინანსებაც 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებული არ არის), ასევე, სსიპ - მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტო (რომელიც შექმნილია „მიწის მიზნობრივი დანიშნულების განსაზღვრისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მდგრადი მართვის შესახებ" საქართველოს კანონით).

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 117-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, გთხოვთ, წარმოდგენილი საკანონმდებლო პაკეტი საქართველოს პარლამენტის მიერ განხილულ და მიღებულ იქნეს დაჩქარებული წესით.

საქართველო, 0114 თბილისი, ინგოროყვას ქ. №7
7 INGOROKVA STR. TBILISI, 0114, GEORGIA

ტელ/TEL: (+995 32) 2990900
WWW.GOV.GE

მთავრობის საპარლამენტო მდივანი
ბექა დოჭვირი